სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის"
ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების
შეთავაზების წინადადება

(მ ო წ ვ ე ვ ი ს ო ფ ე რ ტ ა)

დ ა ზ უ ს ტ ე ბ უ ლ ი ვ ა რ ი ა ნ ტ ი

წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულია სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება ყველა ავტორიზირებულ პირზე და მიღებულია ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულების მიზნით.

სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების მომსახურების მიწოდება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

1. სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების მომსახურების მიწოდების ვალდებულება დაკისრებული აქვს შემდეგ გეოგრაფიულ სეგმენტებში:
   ა) თბილისში;
   ბ) ქუთაისში;
   გ) რუსთავში;
   ბ) ფოთში;
   გ) ზუგდიდში;
   დ) საქართველოს დანარჩენი ტერიტორიაზე (თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, ზუგდიდის, აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის გარდა).

2. სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" სატელეფონო საკანალიზაციო არხების სრული და დატვირთული სიმძლავრეების მონაცემებია:

№	ფილიალის დასახელება	სატელეფონო კანალიზაციის არხების სიგრძე (არხ/კმ.)	კაბელების რაოდენობა სატელეფონო კანალიზაციაში (კმ)
1	ქუთაისის	497.00	332.69

	განყოფილება		
2	ამბროლაურის განყოფილება	25.15	3.42
3	ბაღდადის განყოფილება	9.64	10.90
4	ცაგერის განყოფილება	3.27	5.07
5	ლენტეხის განყოფილება	4.81	5.82
6	ონის განყოფილება	8.50	8.00
7	სამტრედიის განყოფილება	66.80	44.08
8	თერჯოლის განყოფილება	17.24	36.36
9	ტყიბულის განყოფილება	18.40	31.70
10	ვანის განყოფილება	22.20	10.00
11	წყალტუბოს განყოფილება	42.05	26.93
12	ხარაგაულის განყოფილება	6.90	6.34
13	ხონის განყოფილება	24.16	44.51
14	ზესტაფონის განყოფილება	72.60	50.21
15	ფოთის განყოფილება	113.18	150.96
16	აბაშის ფილიალი	7.22	5.15
17	ჩოხატაურის განყოფილება	10.06	9.61
18	ჩხოროწყუს განყოფილება	15.07	9.53
19	ლანჩხუთის განყოფილება	26.70	8.90
20	მარტვილის	4.30	4.60

	განყოფილება		
21	მესტიის განყოფილება	0.00	0.00
22	ოზურგეთის განყოფილება	62.00	42.02
23	სენაკის განყოფილება	42.60	52.58
24	წალენჯიხის განყოფილება	18.50	4.50
25	ხობის განყოფილება	21.40	10.10
26	ზუგდიდის განყოფილება	87.16	91.69
27	ბორჯომის განყოფილება	50.79	62.45
28	ადიგენის განყოფილება	2.68	3.54
29	ასპინძის განყოფილება	6.24	1.76
30	ახალციხის განყოფილება	39.20	47.85
31	ახალქალაქის განყოფილება	13.05	27.09
32	ნ/წმინდის განყოფილება	9.59	12.58
33	თელავის განყოფილება	33.61	61.55
34	ახმეტის განყოფილება	12.87	28.18
35	დ/წყაროს განყოფილება	18.22	43.25
36	გურჯაანის განყოფილება	30.20	59.86
37	ლაგოდეხის განყოფილება	15.78	50.98
38	საგარეჯოს განყოფილება	19.26	17.80
39	სიღნაღის	7.18	11.84

	განყოფილება		
40	წნორის განყოფილება	16.73	18.38
41	ყვარლის განყოფილება	22.50	36.13
42	ხაშურის განყოფილება	70.26	88.69
43	ახალგორის განყოფილება	19.01	8.31
44	დუშეთის განყოფილება	8.55	6.75
45	გორის განყოფილება	73.30	159.73
46	კასპის განყოფილება	30.43	21.62
47	ქარელის განყოფილება	20.73	17.65
48	საჩხერის განყოფილება	5.67	8.42
49	თიანეთის განყოფილება	18.48	10.93
50	ჭიათურის განყოფილება	52.27	42.57
51	ყაზბეგის განყოფილება	1.45	1.45
52	რუსთავის განყოფილება	131.20	269.64
53	ბოლნისის განყოფილება	46.80	58.68
54	დმანისის განყოფილება	7.80	8.38
55	გარდაბნის განყოფილება	25.99	32.70
56	მარნეულის განყოფილება	46.80	72.09
57	თ/წყაროს განყოფილება	20.51	8.70
58	წალკის	38.58	6.50

	განყოფილება		
59	თბილისის განყოფილება	3,047.00	3,683.03
60	მცხეთის განყოფილება	15.00	19.48

შენიშვნა: ზემომითითებული მონაცემები ექვემდებარება განახლებასა და ცვლილებას;

3. სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების მომსახურებას გაწევას ახორციელებს მხოლოდ ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებში კაბელის გატარების (არხის ორ წერტილს შორის კაბელის განლაგების) ფარგლებში;

4. სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების ტარიფები განსაზღვრულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2008 წლის 15 აგვისტოს №475/9 გადაწყვეტილებით და რეგიონების მიხედვით შეადგენს:

კაბელის დიამეტრი	თბილისი	ქუთაისი	რუსთავი	ზუგდიდი	ფოთი	დანარჩენი საქართველო
15 მმ-მდე	183.34	221.84	260.89	268.24	96.93	266.44
15 დან 25 მმ-ის ჩათვლით	305.57	369.73	434.82	447.07	161.55	444.06
25 დან 35 მმ-ის ჩათვლით	427.80	517.63	608.74	625.90	226.17	621.69
35 დან 45 მმ-ის ჩათვლით	550.03	665.52	782.67	804.73	290.78	799.31
45 დან 55 მმ-ის ჩათვლით	672.25	813.41	956.60	983.55	355.40	976.94
55 დან 65 მმ-ის ჩათვლით	794.48	961.31	1130.52	1162.38	420.02	1154.56
65 მმ-ის ზემოთ	916.71	1109.20	1304.45	1341.21	484.64	1332.19

შენიშვნა: ზემომოცემული ტარიფები განისაზღვრება 1 თვისთვის 1 კმ სიგრძის კაბელისთვის და მოცემულია ლარებში დღგ-ს გარეშე.

5. მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს ყოველთვიურად. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება შემოსავლების შესახებ საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე სრული მოცულობით, არაუგვიანეს საანგარიშსწორებო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის, ანგარიშსწორება იწარმოებს სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" მიერ მხარისადმი წარდგენილი შემოსავლების შესახებ საოქმო გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული თანხების ოდენობით, ხოლო სადაო ნაწილზე წარდგენილ იქნება გადაანგარიშების მოთხოვნა სათანადო დასაბუთებითა და შესაბამისი მტკიცებულებით. თუ მხარეები 10 სამუშაო დღის ვადაში ვერ შეთანხმდებიან საპრეტენზიო ნაწილზე, დავა განხილული და გადაწყვეტილი იქნება საქართველოში არსებული მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის მეშვეობით.

6. სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების ოფერტაზე თანხმობის მიღებისა და ხელშეკრულების გაფორმების პროცედურა:

6.1. განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) წერილობითი განცხადება, სადაც ნათლად იქნება დაფიქსირებული, რომ განმცხადებელს სურს მიიღოს სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიისაგან" ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების მომსახურება;

დ) წერილობით განცხადებაში დაფიქსირებული უნდა იყოს განმცხადებლის დასტური რომ იგი გაცნობილია, ეთანხმება და უპირობოდ შეასრულებს ოფერტაში დაფიქსირებულ ყველა პირობას;

6.2. კონკრეტული წერტილების მითითება, სადაც განმცხადებელს სურს კაბელის გატარება ხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ რაც სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიასა" და განმცხადებელს შორის გაფორმებული იქნება ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების ხელშეკრულება. კაბელის გატარების მოთხოვნის კონკრეტული შემთხვევების მიღებისა და განხილვის პროცედურა აღწერილია ცალკე მუხლ 7-ში;

6.3. განმცხადებლის მიმართვიდან 17 კალენდარულ დღეში სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" შეისწავლის აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და წერილობითი განცხადება 6.1 მუხლში დაფიქსირებულ მოთხოვნებს;

6.4. განმცხადებლის მიმართვიდან 17 კალენდარულ დღეში სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" წერილობით აცნობებს განმცხადებლს აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და წერილობითი განცხადება 6.1 მუხლში დაფიქსირებულ მოთხოვნებს. დადებითი პასუხის შემთხვევაში აქცეპტი მიღებულად ითვლება განცხადების შემოტანის თარიღიდან, ხოლო უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ჩაითვლება რომ განმცხადებლის მიერ აქცეპტი არ გაკეთებულა;

6.5. 6.4 მუხლის მიხედვით დადებითი პასუხის შემთხვევაში სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" ვალდებულია აქცეპტის მიღებიდან 17 კალენდარული დღის ვადაში გაუგზავნოს აქცეპტანტს მის მიერ ხელმოწერილი ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების ხელშეკრულება.

6.6. აქცეპტანტი ვალდებულია 3 კალენდარული დღის ვადაში მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება უკან დაუბრუნოს სს "საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიას". თუ ამ ვადაში ხელმოწერილი ხელშეკრულება არ იქნება დაბრუნებული, ითვლება რომ აქცეპტანტი უარს აცხადებს ოფერტაზე და სს "საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანია" უფლებას იტოვებს დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ოფერტაზე უარის მთქმელ პირთან ფაქტობრივი ურთიერთობები და ჩაითვლება, რომ სს "საქართველოს

გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიას" აქცეპტანტთან არანაირი სამართლებლივი ურთიერთობა არ აკავშირებს.

7. სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხების ორ წერტილს შორის კაბელის გატარების მოთხოვნების მიღება და შემდგომი პროცედურა:

7.1. სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხების ორ წერტილს შორის კაბელის გატარების მოთხოვნისას, ავტორიზებული პირი ვალდებულია წერილობით მიმართოს სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიას". მიმართვისას დაცული უნდა იყოს ყველა ქვემოთმითითებული პირობა:

ა) სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიასა" და განმცხადებელს შორის უნდა არსებობდეს მოქმედი ორმხრივად ხელმოწერილი ხელშეკრულება საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების შესახებ;

ბ) ავტორიზებული პირის დავალიანება სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" მიმართ მიმართვის მომენტში არ უნდა აღემატებოდეს 1 000 ლარს;

გ) წერილობით მოთხოვნაში ზუსტად უნდა იყოს დაფიქსირებული კაბელის გატარების მარშუტის საწყისი და საბოლოო წერტილები;

დ) წერილობით მოთხოვნაში ზუსტად უნდა იყოს დაფიქსირებული კაბელის ტიპი და დიამეტრი;

7.2. ავტორიზებული პირის მიმართვიდან 8 კალენდარულ დღეში სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" შეისწავლის:

ა) დაცულია თუ არა 7.1 მუხლის მოთხოვნები;

ბ) ა) პუნქტზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, ტექნიკური ნორმების დაცვით შესაძლებელია თუ არა კაბელის მოთხოვნილი მარშუტით განთავსება;

7.3. ავტორიზებული პირის მიმართვიდან 8 კალენდარულ დღეში სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" წერილობით აცნობებს ავტორიზებულ პირს:

ა) დაცულია თუ არა 7.1 მუხლის მოთხოვნები;

ბ) ა) პუნქტზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, ტექნიკური ნორმების დაცვით შესაძლებელია თუ არა კაბელის მოთხოვნილი მარშუტით განთავსება;

7.4. 7.3 მუხლის მიხედვით დადებითი პასუხის შემთხვევაში ავტორიზებული პირი ვალდებულია პასუხის მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში წარმოუდგინოს სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიას" კაბელის ზემომითითებული მარშუტით გატარების პროექტი, სადაც დეტალურად იქნება მოცემული კაბელის გატარების მიმართულება და ყველა სხვა მნიშვნელოვანი ტექნიკური ინფორმაცია;

7.5. სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" ვალდებულია პროექტის მიღებიდან 4 კალენდარული დღის ვადაში დაუბრუნოს დამტკიცებული პროექტი ავტორიზებულ პირს ან წერილობით აცნობოს უარი პროექტის დამტკიცებაზე და ასევე ამ უარის მიზეზი. უარის შემთხვევაში, ავტორიზებული პირი ვალდებულია თავიდან გამოაგზავნოს პროექტი 7.4 მუხლში დაფიქსირებული მოთხოვნების დაცვით. პროცესი გრძელდება 7.5 მუხლის მიხედვით. ავტორიზებული პირი არაუმეტეს 3-ჯერ არის უფლებამოსილი გამოაგზავნოს პროექტი. მესამეჯერ პროექტის არ დამტკიცების შემთხვევაში სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" შეწყვეტს პროექტების მიღებასა და განხილვას.

7.6. პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" ვალდებულია პროექტის მიღებიდან 4 კალენდარული დღის ვადაში გაუგზავნოს ავტორიზებულ პირს მის მიერ ხელმოუწერილი დანართი კომპანიებს შორის არსებულ ხელშეკრულებაზე საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების შესახებ, სადაც დაფიქსირებული იქნება კაბელის გატარების მარშუტი (საწყისი და საბოლოო წერტილები), სიგრძე, დიამეტრი, ტარიფი და ყოველთვიურად გადასახდელი თანხა;

7.7. ავტორიზებული პირი ვალდებულია 2 კალენდარული დღის ვადაში მის მიერ ხელმოწერილი დანართი უკან დაუბრუნოს სს "საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიას". თუ ამ ვადაში ხელმოწერილი დანართი არ იქნება დაბრუნებული, ითვლება რომ ავტორიზებული პირი უარს ამბობს კაბელის

კანალიზაციაში მოთხოვნილი მიმართულებით განთავსებაზე და ჩაითვლება, რომ სს "საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიას" ავტორიზებულ პირთან არანაირი სამართლებლივი ურთიერთობა არ აკავშირებს ამ დანართის ფარგლებში;

7.8. ავტორიზებული პირი ვალდებულია სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიისგან" დანართის მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში წარმოუდგინოს სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიას" იმ კომპანიისა და კონკრეტული პირების სახელები, ვინც უნდა განახორციელოს კაბელის მითითებული მიმართულებით განთავსება. სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" უფლებამოსილია დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს მითითებულ პირებსა და კომპანიას. სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" უფლებამოსილია განსაზღვროს სია იმ კომპანიებისა, ვინც უფლებამოსილი არიან სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" კუთვნილ სატელეფონო კანალიზაციაში განახორციელონ კაბელის განთავსების სამუშაოები;

7.9. იმ შემთხვევაში თუ სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" ეთანხმება წერილში დაფიქსირებული კომპანიისა და პირების მიერ კაბელის ჩადების განხორციელებას, სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" ვალდებულია, ავტორიზებული პირის მიერ 7.7; 7.8 მუხლების დაცვის შემთხვევაში, ხელმოწერილი დანართის და წერილის მიღებიდან 4 კალენდარულ დღეში გასცეს ნებართვა მითითებული კომპანიისა და პირების მიერ კაბელის განთავსების სამუშაოების განხორციელებაზე. ნებართვა მიეწოდება ავტორიზებულ პირსა და სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს. ნებართვის წერილში მითითებული უნდა იყოს ავტორიზებული პირის სახელი, კაბელის ტიპი, დიამეტრი, შესაბამისი პროექტი, საწყისი და საბოლოო წერტილები, მარშუტი, კაბელის ჩადების განმახორციელებელი პირებისა და კომპანიის ვინაობა, ნებართვის მოქმედების ვადა (მინიმუმ 10 სამუშაო დღე). იმ შემთხვევაში თუ

სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" არ ეთანხმება წერილში დაფიქსირებული კომპანიისა და პირების მიერ კაბელის განთავსების სამუშაოების განხორციელებას, სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" ვალდებულია 7.7;7.8 მუხლებით გათვალისწინებული დანართისა და წერილის მიღებიდან 4 კალენადრულ დღეში აცნობოს ავტორიზებულ პირს უარის და უარის მიზეზების შესახებ;

7.10. ავტორიზებული პირის მიერ 7.7;7.8 მუხლების მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში და 7.9 მუხლის მიხედვით დადებითი პასუხის შემთხვევაში, სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" ვალდებულია 10 სამუშაო დღეში დაუბრუნოს ავტორიზებულ პირს თავისი მხრიდან ხელმოწერილი დანართი;

7.11. ავტორიზებული პირი ვალდებულია ნებართვის გაცემის თარიღიდან 10 სამუშაო ან სხვა შეთანხმებული დღის ვადაში განახორციელოს კაბელის გატარება პროექტის მიხედვით. კაბელის გატარების პროცესს ესწრება სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" წარმომადგენელი, რომელიც გამოყოფილ იქნება სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ. განთავსების სამუშაოების შემდეგ მხარეებს შორის (ავტორიზებული პირის მიერ გამოყოფილი წარმომადგენელი, ხოლო სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ გამოყოფილი პირები) გაფორმდეს პირველადი მიღება ჩაბარების აქტი, სადაც მითითებული უნდა იყოს: კაბელის გატარების თარიღი, აქტის ხელმომწერი პირების თანამდებობა და ვინაობა, კაბელის ტიპი, კაბელის დიამეტრი, კაბელის სიგრძე, კაბელის გატარების მარშუტი, საწყისი და საბოლოო წერტილები, კაბელის გატარების სამუშაოების განმახორციელებელი პირები და კომპანია, კაბელის მარკირების ნომერი.

7.12. პირველადი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ზემოთ მითითებული პირველადი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, უნდა გაფორმდეს საბოლოო

მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც მითითებული უნდა იყოს იგივე პუნქტები, რაც პირველად მიღება-ჩაბარების აქტში.

8. სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებში განთავსებულ ავტორიზებული პირების კაბელებთან ავტორიზებული პირების დაშვება კაბელის ექსპლოტაციის მიზნით ხორციელდება შემდეგი პროცედურის მიხედვით:
   8.1. დაშვება სამუშაოების ჩატარების მიზნით ჩვეულებრივ რეჟიმში:
      8.1.1. ავტორიზებული პირი წერილობით მიმართავს სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიას". წერილში დაფიქსირებული უნდა იყოს შემდეგი მონაცემები: დაშვების მიზანი, კაბელის განთავსების ადგილმდებარეობა (საწყისი და საბოლოო წერტილები), განსახორციელებელი სამუშაოს ტიპი და აღწერა, სამუშაოს ჩატარების ადგილმდებარეობა, სამუშაოების ჩატარების ხანგრძლივობა, სამუშაოების ჩამტარებელი კომპანიის სახელწოდება (ეს კომპანია მისაღები უნდა იყოს სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიისთვს"), სამუშაოების ჩამტარებელი პირების თანამდებობა და ვინაობა (ეს პირები მისაღები უნდა იყვნენ სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიისთვის"), სამუშაოების ჩატარების დრო;
      8.1.2. სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" 10 კალენდარულ დღის ვადაში შეისწავლის წერილს და არსებულ სიტუაციას. იმ შემთხვევაში, თუ ავტორიზებული პირის მიერ გაგზავნილი წერილი აკმაყოფილებს 8.1.1 მუხლის მოთხოვნებს და ავტორიზებული პირის დავალიანება სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" მიმართ მიმართვის მომენტში არ აღემატება 1 000 ლარს, მიმართვის მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" გასცემს წერილობით ნებართვას ავტორიზებულ პირზე შესაბამის კაბელებზე სამუშაოების ჩატარების შესახებ;

- იმ შემთხვევაში თუ ზემოჩამოთვლილი პირობები არ სრულდება, სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" 10 კალენდარული დღის ვადაში წერილობით აცნობებს ავტორიზებულ პირს უარს და ამ უარის მიზეზებს;
- ნებართვა მიეწოდება ავტორიზებულ პირსა და სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" შესაბამისი სტრუქტურული ერთეულს. ნებართვის წერილში მითითებული უნდა იყოს ავტორიზებული პირის სახელი, ყველა ის მონაცემი, რომელიც დაფიქსირებულია 8.1.1 მუხლში და ასევე ნებართვის მოქმედების ვადა (მინიმუმ 10 სამუშაო დღე).

8.1.3. ავტორიზებული პირი ვალდებულია ნებართვის გაცემის თარიღიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ვალდებულია განახორციელოს სამუშაოები ნებართვის მიხედვით. სამუშაოების პროცესს ესწრება სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" წარმომადგენელი, რომელიც გამოყოფილ იქნება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ. სამუშაოების შემდეგ მხარეებს შორის (ავტორიზებული პირის მხრიდან სამუშაოების განმხორციელებელი პირები, ხოლო სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" მხრიდან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ გამოყოფილი პირები) ფორმდება პირველადი მიღება ჩაბარების აქტი, სადაც მითითებული უნდა იყოს: სამუშაოების განხორციელების თარიღი, აქტის ხელმომწერი პირების თანამდებობა და ვინაობა, სამუშაოები ტიპი და აღწერა, სამუშაოების ზუსტი ადგილმდებარეობა;

8.2. სამუშაოებში იგულისხმება ყველა ის მოქმედება კაბელზე, რომელიც არ იწვევს ცვლილებას კაბელის ტიპსა და სიგრძეში და ასევე არ იწვევს კაბელის მნიშვნელოვანი ზომის მონაკვეთების ცვლილებას. მოთხოვნა ყველა სხვა ტიპის მოქმედებაზე განიხილება როგორც ახალი კაბელის განთავსების მოთხოვნა და ის რეგულირდება მე-7 მუხლით;

8.3. კაბელის ამოღება ხორციელდება მუხლ 7-ში დაფიქსირებული პირობების ანალოგიურად;

9. სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების მომსახურების მიწოდების ექსტრაორდინალურ და ფორსმაჟორულ შემთხვევებთან დაკავშირებული პირობები:

9.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

9.2. „დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობენ ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა თუ ზემოქმედება მხარეებს არ შეუძლიათ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ.

9.3. დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება სტიქიური უბედურებები (წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი და სხვა) აფეთქებები (მათ შორის ტერორისტული თუ დივერსიული აქტები). საომარი მოქმედებები (მათ შორის სამოქალაქო არეულობები და გაფიცვები), ხელისუფლების ისეთი აქტები, რაც არსებითად აფერხებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და სხვა.

9.4. თუ ზემოხსენებულმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შერულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროს თანაბარზომიერად გაიზრდება. მხარემ, რომლისათვისაც ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 7 (შვიდი) დღისა ამ გარემოებების დადგომიდან ან დასრულებიდან, შეატყობინოს მეორე მხარეს წერილიბით. შეუტყობინებლობის, ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში მხარე კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს.

10. სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების

მომსახურების მიწოდების შესაბამისი ხელშეკრულებების შეწყვეტის პირობები:

10.1. შეწყვეტა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საფუძვლებით;

11. სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების მომსახურების მიწოდების შესაბამისი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავების განხილვის წესი:

11.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი ქონებრივი დავა განხილული და გადაწყვეტილი იქნება საქართველოში არსებული მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის მიერ. დავას განიხილავს ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟი, რომელსაც დანიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი. დავას განიხილავს და გადაწყვეტს ის არბიტრაჟი, რომელიც კონკრეტულად მითითებული იქნება ხელშეკრულებაში სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" მიერ;

12. წინამდებარე ოფერტა მოქმედებს გამოქვეყნებიდან 6 თვის ვადით.

გენერალური დირექტორი ადილხან ტემირბეკოვი